

საქართველოს ცეოლითები: მინერალოგია, გენეტური ტიპები და გავრცელება

ფრიდონ ფიჩხაია
pridon.pichkhaia188@ens.tsu.edu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, საქართველო, 0186

ცეოლითები კარკასული სტრუქტურის ალუმოსილიკატებია და ბუნებაში ფართოდ გავრცელებულ მინერალთა ჯგუფს წარმოადგენს. ცეოლითების ჯგუფში 60-ზე მეტი მინერალია გაერთიანებული, რომელთაგან აღსანიშნავია: ანალციმი, კლინოპტილოლიტი, ნატროლიტი, ტომსონიტი, შაბაზიტი, ლომონტიტი, სტილბიტი, ჰეილანდიტი, მორდენიტი, ფილიფსიტი, ერიონიტი, ფერერიტი. ცეოლითების სტრუქტურული თავისებურება განაპირობებს ამ ჯგუფში შემავალი მინერალების განსაკუთრებულ თვისებებს: ადსორბციის უნარს, ჰიდრატაციის მაღალ ხარისხსა და ცეოლითური წყლის არსებობას, იონური მიმოცვლას, კატალიზურ თვისებებსა და სხვ. აღნიშნული თვისებების გამო ცეოლითები აქტიურად გამოიყენება მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მედიცინის სხვადასხვა დარგში.

გამოყოფენ ცეოლითების ორ ტიპს: ბუნებრივ და სინთეზურ ცეოლითებს. საბაკალავრო ნაშრომში განხილულია ბუნებრივი ცეოლითების ქიმიური შედგენილობა, სტრუქტურული თავისებურებანი, თვისებები, გენეტური ტიპები და გამოყენების სფეროები. საქართველოში ცეოლითების ჯგუფის მინერალები გარკვეული კანონზომიერებითაა გავრცელებული და მათი მსხვილი საბადოები და გამოვლინებები უკავშირდება ახალგაზრდა ვულკანური სარტყლების ცარცულ, პალეოგენურ და ნეოგენურ ასაკის მაგმურ-ვულკანოგენურ, ვულკანოგენურ-დანალექ და ნორმულ დანალექ ფორმაციებს (სხირტლაძე, 1997). ნაშრომში დახასიათებულია ძეგვისა და თეძამის კლინოპტილოლითმცველი ტუფების საბადო.